



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საკრედიტო ბიუროების რთული საქართველთს საფინანსო სექტორის განვითარებაში



www.sab.ge


საკრედიტო ბიუროების როლი საქართველოს საფინანსო სექტორის განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის ასიმეტრიულობა და არასრულყოფილი ბაზარი ძირითადად განუვითარებელ და განვითარებად ქვეყნებს ახასიათებთ. გამჭვირვალე საფინანსო სისტემა ხელს უწყობს არსებული რისკების შემცირებას, რაც აისახება საპროცენტო განაკვეთებზე და აუმჯობესებს როგორც ბიზნეს სუბიექტების, ასევე მომხმარებლების კეთილდღეობას.

დღესდღეობით ქვეყნების უმრავლესობაში ფინანსურ სტაბილურობას ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქმიანობა დამოუკიდებლად განაგრძო. მას არ გააჩნდა ფინანსური სტაბილურობის კონტროლის მექანიზმები და ამ ყველაფერმა ჰიპერინფლაციას დაუდო სათავე. ასევე ვერ შეუშალა ხელი ბანკების ცნობილ პირამიდულ სქემებს. მომდევნო წლებში ქვეყნის განვითარებასთან ერთად საბანკო სექტორმა აღიდგინა ნდობა და დაიწყო განვითარება, რაც ასევე აისახა საპროცენტო განაკვეთებზე და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში ცენტრალურ ბანკთან ერთად არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ბაზრის გამჭვირვალობას და ფინანსური სექტორის სტაბილურობას. სწორედ ამ ტიპის ორგანიზაციებია საკრედიტო ბიუროები. მათი საქმიანობა პირდაპირ აისახება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და საფინანსო სისტემის განვითარებაზე. გადახდისუნარო მსესხებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ხარჯზე ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მცირდება, ხოლო მინიჭებული სარეიტინგო ქულები საკრედიტო რისკებს ამცირებს. შედეგად ვიღებთ დაბალ საპროცენტო განაკვეთებს და ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსს.

გრაფიკი 1. გაცემული სესხების წილი მშპ-ში და საშუალო საპროცენტო განაკვეთები გაცემულ სესხებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge



გრაფიკი 1-ზე წარმოდგენილია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ 2004 წლიდან გაცემული სესხების წილი მშპ-ში და საშუალო საპროცენტო განაკვეთები. როგორც ვხედავთ, გაცემული სესხების წილი მშპ-ში მკვეთრად გაიზარდა, რაც მეტყველებს როგორც მომხმარებლების და ბიზნესის გაზრდილ გადახდისუნარიანობაზე, ასევე ხაზს უსვამს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის დაკრედიტების მნიშვნელობას. ამავდროულად, მცირდება საპროცენტო განაკვეთები, რაც მიუთითებს შემცირებულ საკრედიტო რისკებზე. თუმცა საპროცენტო განაკვეთებს მხოლოდ საკრედიტო რისკი არ განსაზღვრავს და მასზე მოქმედებს საბაზრო რისკი, სესხის ვადა, ფინანსური რესურსების მოზიდვის ხარჯი და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი 2. ვადაგადაცილებული სესხები

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები (მლნ ლარი) და სესხების ვადაგადაცილების მაჩვენებელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

გრაფიკი 2-დან ვხედავთ, რომ 2004 წლიდან გაცემული სესხების მოცულობის ზრდასთან ერთად ვადაგადაცილებული სესხების ფარდობითი მაჩვენებელი მკვეთრად არ იცვლება. აღნიშნული საბანკო სექტორის მხრიდან რისკების კარგად მართვის მანიშნებელია და სექტორის განვითარებაზე მეტყველებს.

„საკრედიტო ისტორიის“ მნიშვნელობა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო აქტუალურია. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ვის მიერ და როგორ ხდება საკრედიტო ისტორიის ფორმულირება, მონაცემების შენახვა და შემდგომში ინფორმაციის დაინტერესებულ მხარეზე გაცემა. მსოფლიოს 120 ქვეყანაზე მეტს საკრედიტო ბიუროს მომსახურება აქვს. ეს მომსახურება ფასიანია, ტარიფები ცვალებადია და ინფორმაციის მოცულობასა და სერვისის გამოყენების სიხშირეზეა დამოკიდებული. როგორც წესი, კომპანიებს ინფორმაციის გამოთხოვა ერთჯერადად 0.05 ცენტიდან 5 \$-მდე უჯდებათ.

სხვადასხვა ქვეყანაში საკრედიტო ბიუროს განსხვავებულ ფორმას ვხვდებით. არსებობს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოს მართვის ქვეშ მყოფი კომპანიები, თუმცა მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპი ერთია - დაიცვან საფინანსო სექტორი საფრთხის შემცველი გარემოებისგან.

მსგავსი ტიპის მონაცემთა ბაზა პირველად დაახლოებით 200 წლის წინ მანჰეტენზე შეიქმნა. მე-19 საუკუნის დასაწყისში აბრეშუმის ქარხნის თანამშრომელი, რომელიც საბითუმო გაყიდვებზე მუშაობდა, კომპანიის მომხმარებლებს აღრიცხავდა. რამდენიმე ტომის დაგროვების შემდეგ პირველი კომპანია ჩამოაყალიბა, რომელიც ამ სფეროში დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას მყიდველების გადახდისუნარიანობის შესახებ გარკვეული თანხის სანაცვლოდ სთავაზობდა. ევროპაში საკრედიტო ბიუროები შედარებით გვიან მე-20 საუკუნის



30-იან წლებში გამოჩნდა. გერმანიაში პირველი კერძო კომპანია 1927 წელს, ხოლო სახელმწიფო სააგენტო 1934 წელს შეიქმნა. დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპაში საკრედიტო ბიუროები უფრო გვიან, ლიტვაში 1995 წელს, ხოლო პოლონეთში 1997 წელს ჩამოყალიბდა.

საკრედიტო ბიურო პოლონეთში საბანკო ასოციაციის მიერ შეიქმნა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით Biuro Informacji Kredytowej-ში ინფორმაციის განსათავსებლად და მოსაძიებლად ბანკებს მომხმარებლის ნებართვა არ სჭირდებათ. მონაცემების უტყუარობაზე მიმწოდებელი კომპანია პასუხისმგებელი. საინტერესოა რომ, პოლონურ მოდელში კრედიტ ინფოს ბაზაში ყველა განაცხადი ხვდება, მიუხედავად იმისა, გაიცა თუ არა სესხი. ეს ყველაფერი ფინანსურ სექტორს ეხმარება მომხმარებლის ქცევა გაანალიზოს და აღკვეთოს, როგორც თაღლითობა, ასევე ჭარბვალიანობა, რომელიც ვადაგადაცილებული სესხების ზრდის წინაპირობაა.

გარკვეულ ქვეყნებში მონაცემთა ბაზებს სახელმწიფო მართავს. საფრანგეთში საკრედიტო ბიურო 1946 წელს კერძო სტრუქტურებისგან სახელმწიფომ გადაიბარა. ბრაზილიაში და არგენტინაში მუშაობს ორდონიანი სისტემა. ვხვდებით ქვეყნებს, სადაც ფინანსური სექტორის საკრედიტო ბიუროსთან თანამშრომლობა სავალდებულოა და კანონით რეგულირდება. აშშ-ში კრედიტ ინფოს განვითარების პერიოდში სახელმწიფოს როლი უმნიშვნელო იყო. აღსანიშნავია რომ, გაბანკოტებული კომპანიების შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო ორგანოები ბიზნეს რეესტრის სტატისტიკის სამართავად აქტიურად იყენებენ. 1906 წელს შეიქმნა ასოციაცია, რომელიც ამ სფეროს წარმომადგენლების ინტერესებს იცავს და დღეის მდგომარეობით თითქმის ყველა კომპანია ამ ასოციაციის წევრია.

ავსტრალია, ბრაზილია, ახალი ზელანდია და ნორვეგია მხოლოდ ნეგატიურ ჩანაწერებს ცვლიან. ავსტრიაში, არგენტინაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და იაპონიაში საკრედიტო ბიუროს ყველაზე დახვეწილ მოდელს ვხვდებით, როდესაც ვალდებულებებთან ერთად ინფორმაცია არსებულ შემოსავლებზეც იცვლება.

90-იანი წლებში წარმატებულმა სააგენტოებმა დაიწყეს ევროპის და ამის ბაზრების ათვისება. ერთ-ერთი ასეთი გარიგების მაგალითია სომხეთში არსებული საკრედიტო ბიუროს ACRA credit reporting-ის და ამერიკული კომპანიის Dun & Bradstreet-ის სტრატეგიული თანამშრომლობა. სომხეთში საკრედიტო ბიურო „ACRA“ 2004 წელს ჩამოყალიბდა და 2008 წლის ოქტომბრიდან მისი საქმიანობის რეგულირება დაიწყო.

საკრედიტო ბიუროს რეგისტრაციისთვის 2 მლნ. სომხური დრამის კაპიტალი მოითხოვება და პარტნიორ კომპანიებს 20%-ზე მეტი წილის ფლობა ეკრძალებათ. სომხეთის ეროვნული ბანკი საქმიანობის ლიცენზიას გასცემს და ზედამხედველობას უწევს. „ACRA“-ს ბაზაში მონაცემები 3 (სამი) სამუშაო დღეში აისახება და დაფარვიდან 5 წლის განმავლობაში რჩება. პირადი განაცხადების საფუძველზე მომხმარებელს შეუძლია მონაცემების განახლება, წვდომაზე შეზღუდვის დანესება და ისტორიის უსასყიდლოდ გამოთხოვა წელიწადში ერთხელ. მომხმარებელზე ინფორმაცია გაიცემა, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინების, ასევე საფოსტო მომსახურების მეშვეობით.

ამერბაიჯანში საკრედიტო ბიუროს ფუნქციას 2005 წლიდან ეროვნულ ბანკთან არსებული სპეციალური რეესტრი ითავსებდა, თუმცა ახლა მიმდინარეობს მუშაობა კერძო საკრედიტო ბიუროს დაფუძნებაზე, რომელსაც ფინანსური სექტორის თხუთმეტი წარმომადგენელი (13 კომერციული ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) აარსებს. მათი პარტნიორი და ტექნიკური მხარდაჭერია ისლანდიური კომპანია „creditinfo“. მონაცემთა ბაზის ამუშავება მიმდინარე წელს არის დაგეგმილი.

საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ საკრედიტო ბიუროების საქმიანობას კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს:

- ინფორმაციაზე წვდომა ფინანსურ სექტორს ეხმარება ერთმანეთისგან განასხვავოს გადახდისუნარიანი და მაღალრისკიანი მომხმარებლები, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს ვადაგადაცილებული სესხების მაჩვენებელს
- კეთილსინდისიერ მომხმარებელზე უტყუარი ინფორმაცია ბიზნესს საშუალებას აძლევს შეარბილოს დაკრედიტების პოლიტიკა და ეტაპობრივად შეამსუბუქოს სესხის გაცემის პროცედურა
- ხელს უწყობს ბიზნესის ლიკვიდობის ზრდას და დანახარჯების მინიმალიზაციას




- მონაცემთა ბაზაზე წვდომა ზრდის კონკურენციას, რაც დადებითად აისახება როგორც საცალო, ასევე ბიზნესდაკრედიტებაზე. მცირდება საპროცენტო განაკვეთები
- მცირდება ჭარბვალიანობით გამოწვეული პრობლემები
- რეიტინგის გაუარესების საფრთხე მომხმარებლის და ბიზნესის ქვევის მასტიმულირებელია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დროულად შესრულოს

2005 წლამდე, საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორი განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებოდა, რაც საბანკო პროდუქტების დეფიციტს იწვევდა. 2000-2003 წლებში საბანკო სექტორის ზარალი 109 მლნ. ლარს აღწევდა. მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად სექტორის მდგრადობის და გამჭვირვალობის ზრდისთვის „მსესხებელთა რეესტრის“ შექმნა იყო აუცილებელი. დღესდღეობით საქართველოში სააქციო საზოგადოება „კრედიტინფო საქართველო“ ერთადერთი საკრედიტო ბიუროა, რომელიც 2005 წელს დაფუძნდა. მის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საკრედიტო ინფორმაციის დამუშავება/გაცემა და საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ხელშეწყობა. ორგანიზაციის საქმიანობა ხელს უწყობს საბანკო სექტორს სწორად მართოს საკრედიტო პორტფელი და აუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს, რაც აისახება მომხმარებლების მიერ მიღებული მომსახურების ხარისხზე.

„კრედიტინფოს“ მონაცემთა ბაზა ამ ეტაპზე 18 მლნ. ჩანაწერზე მეტს მოიცავს, რომელშიც განთავსებულია ინფორმაცია 2,5 მლნ. ფიზიკურ პირზე და 70 000-მდე კომპანიაზე. აღნიშნული ინფორმაცია უწყვეტ რეჟიმში განახლებადია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ზედამხედველობას ექვემდებარება.

გრაფიკი 3. კრედიტინფოს ბაზაში ჩანაწერების ზრდის დინამიკა 2006-2016 წლებში

კრედიტინფოს ბაზაში ჩანაწერების ზრდის დინამიკა



წყარო: სააქციო საზოგადოება „კრედიტინფო საქართველო“


გრაფიკი 3-ზე მოცემულია ჩანაწერების ზრდის დინამიკა, რომელიც 2006 წლიდან 2016 წლამდე 9000-დან 18 მლნ-მდე გაიზარდა. ჩანაწერების აღნიშნული ტემპით ზრდა პირდაპირ კავშირშია დაკრედიტების დონის ზრდასთან და მოთხოვნილი ინფორმაციის საჭიროებაზე მეტყველებს. დაკრედიტების დონის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი საკრედიტო ბიუროს ბაზარზე შემოსვლა იყო, რამაც პროცედურების გამარტივება და რისკების შემცირება გამოიწვია. მაგალითად, თუ ადრე სესხის დამტკიცებას რამდენიმე დღე სჭირდებოდა, ახლა ის რამდენიმე წუთშია შესაძლებელი. ასევე გაიზარდა საკრედიტო პროდუქტების რაოდენობა და ის უფრო მრავალფეროვანი გახდა. თუმცა ეს სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული.



„კრედიტინფო საქართველო“ საქმიანობს საფინანსო სექტორში. ის მონაცემებს აწვდის კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ონლაინ გამსესხებლებს, სადაზღვევო და სალიზინგო კომპანიებს და სხვა ორგანიზაციებს. საინტერესოა შევავსოთ საკრედიტო ბიუროს მომხმარებელი ფინანსური ინსტიტუტები.

გრაფიკი 4. სააქციო საზოგადოება კრედიტინფოს ჩანაწერების რაოდენობა საფინანსო სექტორის მონაწილეების მიხედვით

ჩანაწერების რაოდენობა საფინანსო სექტორის მონაწილეების მიხედვით



წყარო: სააქციო საზოგადოება „კრედიტინფო საქართველო“

გრაფიკი 4-დან ვხედავთ, რომ კომერციული ბანკების წილი (13%) მცირეა მიკროსაფინანსო (30%) და ონლაინ გამსესხებლებთან (35%) შედარებით. ეს შეიძლება მეტყველებდეს იმაზე, რომ აღნიშნული ორგანიზაციები შედარებით მცირე რესურსით მოქმედებენ და მოკლევადიან სესხებზე არიან ორიენტირებულები, მაშინ როდესაც კომერციულ ბანკს შეუძლია მომხმარებელი უზრუნველყოს გრძელვადიანი ფინანსური რესურსით. ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და ონლაინ გამსესხებლებს მიმართავენ ის ფიზიკური პირები და ბიზნეს სუბიექტები, რომლებსაც შემოსავლის სტრუქტურა არ აძლევთ საშუალებას მიმართონ კომერციულ ბანკებს.


კრედიტინფო საქართველო საფინანსო სექტორის მომხმარებლებს სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობს. ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობა წელიწადში ერთხელ უფასოდ გაცნოს საკრედიტო ისტორიას. არსებობს ფასიანი მომსახურებაც, რომლის დახმარებით მომხმარებელი რეგისტრირდება და ნებისმიერ დროს შეუძლია თვალის ადევნოს, როგორ იცვლება ჩანაწერები მის საკრედიტო ისტორიის ამონაწერში. ეს არის კარგი შესაძლებლობა, ფიზიკურმა პირებმა გააკონტროლონ საკრედიტო ისტორია და მართონ საკუთარი პორტფელი.



ბოლო პერიოდში დაიწყო „კრედიტინფო საქართველოს“ და სადისტრიბუციო კომპანიების ურთიერთთანამშრომლობა. სადისტრიბუციო კომპანიებს ვადაგადაცელებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციაზე ექნებათ წვდომა და შეეძლებათ დავალიანების მქონე ბიზნეს სუბიექტების შესახებ ინფორმაცია თავად განათავსონ საერთო ბაზაში. ეს მნიშვნელოვანია გარიგებების დადებისას, თუ გავითვალისწინებთ სავაჭრო ქსელების ცნობილ მაგალითებს, როდესაც გადახდისუნარო სავაჭრო ქსელებმა საკმაოდ დიდი პრობლემები შეუქმნეს სადისტრიბუციო კომპანიებს და ბაზარზე არაჯანსაღი პრაქტიკა დაამკვიდრეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თანამშრომლობა სადისტრიბუციო კომპანიების რისკების შემცირებას შეუწყობს ხელს და გრძელვადიან პერიოდში თავიდან ავიცილებთ არაჯანსაღ ბიზნეს მოდელს ამ სექტორში.

სასურველია, მომავალში სადისტრიბუციო კომპანიების მაგალითი სხვა იურიდიულმა პირებმაც გაიზიარონ, რომლებსაც პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ გარკვეული ტიპის ინფორმაციის ფლობა სჭირდებათ. შედეგად, თავიდან ავიცილებენ თაღლითურ ქცევას. ასევე ე.წ. ნეგატიურ მონაცემთა ბაზასთან ერთად სავსებით შესაძლებელია შეიქმნას იმ ტიპის მონაცემთა ბაზა, სადაც კეთილსინდისიერ გამომხდელ ბიზნეს სუბიექტებს მიენიჭებათ დადებითი რეიტინგი და გაუადვილებათ დაბალპროცენტიანი სასესხო პროდუქტებით სარგებლობა.

გრაფიკი 5. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები იურიდიული და ფიზიკური პირების მიხედვით (მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

გრაფიკი 5-დან ვხედავთ, რომ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები 2004 წლიდან 2015 წლამდე აჭარბებდა ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს. 2016 წლის ბოლოსთვის ფიზიკურ პირებზე გაცემულმა სესხებმა 9,6 მლრდ ლარს მიაღწია, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემულმა სესხებმა 8,9 მლრდ ლარი შეადგინა. ამის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი იყო ის, რომ ფიზიკურ პირებში 2015 წლიდან ინდემწარმეებიც არიან გათვალისწინებული. მოსალოდნელია, რომ იურიდიული პირების სასესხო ბაზრის განვითარების შემთხვევაში, მათი დაკრედიტების დონე გადააჭარბებს ფიზიკური პირებისას.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სასურველია კრედიტ ინფოს მონაცემთა ბაზის გაუმჯობესება. შესაძლებელია განთავსდეს ჩანაწერი, როგორც იურიდიული პირების, ისე ფიზიკური პირების შემოსავლების შესახებ. ეს დაეხმარება არა მხოლოდ საფინანსო სექტორს, არამედ მსესხებლებსაც გამარტივებული პროცედურით აიღონ სესხი. აღარ იქნება საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, როგორც არის: სახელფასო ცნობა, საბანკო ამონაწერი ან შემოსავლების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია. ფიზიკური პირების



შემთხვევაში ამ მონაცემების გაცნობა ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტისთვის იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება იურიდიულ პირებს მათი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია კომერციული ბანკებისთვის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. (მხოლოდ ეს ინსტიტუტები გთავაზობენ ბიზნეს სესხებს) ეს დაეხმარება საფინანსო ინსტიტუტს მოკლე მონაკვეთში შეისწავლოს კომპანიის შემოსავლები და მაქსიმალურად დაბალი საკრედიტო რისკის გათვალისწინებით დაამტკიცოს სესხი. აუცილებელია, მკაცრად გაკონტროლდეს მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რადგან იურიდიული პირების შემთხვევაში, მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია სხვა ორგანიზაციებისთვის არ იყოს ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ფიზიკური პირის, ასევე იურიდიული პირის შემთხვევაშიც შემოსავლების შესახებ ჩანაწერი მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში განთავსდეს.

მომხმარებელთა უმეტესობა, რომელსაც არ აქვს რეგისტრირებული ან საკმარისი შემოსავალი, სესხის ასაღებად ვერძო მევახშეს მიმართავს. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში, კომერციული ბანკები თავს არიდებენ ასეთი ტიპის ვალდებულების გადაფარვას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მომხმარებელი ვერ ამტკიცებს რამდენად ვეთილსინდისიერად იხდიდა ვერძო მევახშის ვალდებულებას. შესაბამისად, სასურველია ეს სექტორიც იყოს ჩართული და პერიოდულად აახლებდეს ინფორმაციის კრედიტიფოს მონაცემთა ბაზაში. ასევე სასურველია, მონაცემთა ბაზას მიეზას სოციალურად დაუცველ პირთა მონაცემებიც. ეს დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ წარსული გამოცდილება, როდესაც გარკვეული ტიპის სესხები გაიცემოდა სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საკრედიტო ბიუროების, საქართველოს შემთხვევაში სააქციო საზოგადოება „კრედიტიფოს“ როლი საფინანსო სექტორის განვითარების პროცესში

- ფინანსური სისტემის სტაბილურობა
- გამჭვირვალე საკრედიტო რისკი
- შემცირებული საპროცენტო განაკვეთები
- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- ჭარბვალიანობის დონის და თაღლითური ქცევის ზედამხედველობა
- ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

ამ ეტაპზე საქართველოში საკრედიტო ბიუროების საქმიანობას მონიტორინგს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი უწევს. რაც გულისხმობს, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ არსებული ინფორმაცია დაცულია არასანქცირებული წვდომისაგან. თუმცა მომავალში, საკრედიტო ბიუროების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად შესაძლოა დღის წესრიგში რეგულირების საკითხიც დადგეს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკრედიტო ბიუროებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი საკრედიტო რისკის შემცირების პროცესში. არსებული მდგომარეობის კვლევის შედეგად „საზოგადოება და ბანკებმა“ შეიმუშავა ის რეკომენდაციები, რომელიც საფინანსო სისტემის განვითარებასთან ერთად, ხელს შეუწყობს მომხმარებლის უფლებების დაცვას და მიღებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

- სასურველია საკრედიტო ჩანაწერების შესახებ ინფორმაციის უფრო სწრაფი განახლება (ამ ეტაპზე ის 15 დღეა)
- მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, საკრედიტო ბიუროში შემოსავლების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა გაამარტივებს სესხის გაცემის პროცედურას
- მისასალმებელია საკრედიტო ბიუროს თანამშრომლობა იურიდიულ პირებთან. მათი მხრიდან საკრედიტო ბიუროების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა თავიდან აგვარიდებს თაღლითური ქცევისგან გამომწვეულ პრობლემებს და ხელს შეუწყობს სტაბილურობას



